5515/3-125/21 2 07062021

5515/3-125/21
07-06-2021

საქართველოს შემოსავლების სამსახურის
საბაჟო დეპარტამენტს

მოგესალმებით,

საქართველოში კანაფის თესლების (seed) ფასი გაცილებით მაღალია თავის რეალურ ღირებულებასთან შედარებით. ამის მიზეზად აგრო მაღაზიები ასახელებენ გაუგებარ რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც კანონიერად და ოფიციალურად, საქართველოს ტერიტორიაზე, კანაფის თესლების შემოტანა ყველას არ შეუძლია.

აგრეთვე, კანაფის თესლის საქართველოს საზღვარზე შემოტანის პრობლემა შეუძლებელს ხდის კანაფის ზეთის ადგილზე დამზადებას და ფასიც შესაბამისად მაღალია.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ სამართლებრივი საფუძვლის მითითებით მომაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

ა) ყველა იმ რეგულაციასა და შეზღუდვაზე, რომელიც კანაფის თესლების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის წინააღმდეგ არსებობს;

ბ) რა არის საჭირო საქართველოს ტერიტორიაზე კანაფის თესლების ოფიციალურად შემოტანისთვის.

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge